



# გორის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 20-2020349380  
თარიღი: 14/12/2020  
პინი: 2159

ადრესატი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

გადაამოწმეთ: [document.municipal.gov.ge](http://document.municipal.gov.ge)

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგინთ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ანგარიშს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 160 განცხადება შემოვიდა. აქედან 160 მოთხოვნა დაკმაყოფილდა. 0 განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების 0 შემთხვევა დაფიქსირდა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა დაწესებულებაში არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში კულტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გიორგი ღვინიაშვილის (გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი) მიერ. გადაწყვეტილებათა რაოდენობა - 160, მათ შორის, მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება - 0.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა. სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯი არ გაწეულა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ფაქტი არ ყოფილა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ანგარიშს გიგზავნის დანართის სახით.

დანართი 1 ფურცელი

პატივისცემით,

კონსტანტინე თავზარაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 10 დეკემბრის ანგარიში

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	160 (ას სამოცი)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	160 (ას სამოცი)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)
გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება	0 (ნული)